Research

საქართველოს საფინანსო სექტორში მწვანე დაფინანსების როლის შეფასება

მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები

პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის დოკუმენტი

2024
თბილისი

საქართველოს საფინანსო სექტორში მწვანე დაფინანსების როლის შეფასება

მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები

ავტორები: ***ნანა ქაჯაია, ლევან წულაია***
რეცენზენტი: ***სნეჰა იადავ***

გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. „მწვანე“ დაფინანსება ხელს უწყობს ენერგეტიკის, ენერგოეფექტიანობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და ამცირებს სათბურის აირების ემისიებს. დაფინანსებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინება განაპირობებს უფრო მდგრადი გლობალური ეკონომიკის შექმნას.

კლიმატის ცვლილების ეფექტების შერბილებაში მნიშვნელოვანი როლის გამო ფინანსური ორგანიზაციები ავითარებენ ახალ მიდგომებსა და მდგრადი დაფინანსების მექანიზმებს. ამ ყველაფრის ფონზე ცენტრალური ბანკები და სხვა მარეგულირებელი ორგანოები ცვლიან თავიანთ რეგულაციებს კლიმატის ცვლილების რისკებისა და ეფექტების აქტიურად სამართავად. საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) მსოფლიო სავალუტო ფონდის (IMF) წევრი ეროვნული ბანკების იმ 12%-ში შედის, რომლებსაც აქვთ მდგრადი ეკონომიკური ზრდის საკანონმდებლო მანდატი. შესაბამისად, სებ-ი აქტიურად ცდილობს მდგრადობისა და „მწვანე“ ინიციატივების წახალისებას.

სებ-ს აღიარებული აქვს კლიმატური ფაქტორების მნიშვნელობა. ის აქტიურად მონაწილეობს ისეთ ინიციატივებში, როგორიცაა მდგრადი ბანკინგის ინიციატივა (Sustainable Banking Framework) და არის „მწვანე“ ფინანსური სისტემის (Greening the Financial System) ქსელის წევრი. ამასთანავე, სებ-მა დანერგა ეროვნული „მწვანე“ ტაქსონომია, რომლის მიზანია „მწვანე“ სესხების კლასიფიკაციის სტანდარტიზაცია საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში. ეს ტაქსონომია უზრუნველყოფს „მწვანე“ დაფინანსების ანგარიშგების შედარებადობასა და სანდოობას.

სებ-ის ამ ინიციატივების ამოცანაა სტაბილური მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რაც მიზნად ისახავს მდგრადი დაფინანსებისთვის საქართველოს ბაზრის მზაობის, გამჭვირვალეობისა და საბაზრო დისციპლინის ზრდას. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინიციატივები მიმართავს კაპიტალს მდგრადი სექტორებისკენ და ხელს უწყობს გრძელვადიანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის შექმნას.

მარეგულირებელი ორგანოსგან დამოუკიდებლად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიც (IFIs) ცდილობენ, საქართველოში განავითაროონ მდგრადი დაფინანსების მექანიზმები. ადგილობრივ ბანკებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ცდილობენ, ფინანსური ნაკადები მიმართონ მდგრადი მიზნებისკენ. ამისათვის ისინი იყენებენ ისეთ ფინანსურ მექანიზმებს, როგორებიცაა საკრედიტო ხაზები კომერციული ბანკებისთვის, „მწვანე“ ობლიგაციების გამოშვება, ტექნიკური დახმარება და ადგილობრივი ორგანიზაციების კონსულტაცია „მწვანე“ პრაქტიკის განვითარებასა და მიღებაში.

საქართველოში „მწვანე“ ფინანსების პოზიტიური ტენდენციების არსებობის მიუხედავად, კიდევ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც აფერხებს „მწვანე“ დაფინანსების ინიციატივების ეფექტიანად განხორციელებას. საზოგადოებასა და ბიზნესებში „მწვანე“ დაფინანსების შესაძლებლობებისა და უპირატესობების არსებობის ცნობიერების სიმცირე ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა საქართველოში „მწვანე“ ფინანსური სექტორის განვითარებისთვის. ამ პრობლემას აღრმავებს იმ ადამიანური რესურსების სიმცირე, რომლებსაც შეეძლებოდათ „მწვანე“ პროექტების შეფასება, ანგარიშგება და მონიტორინგი. სხვადასხვა სექტორებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის რეგულაციების კოორდინირება ქმნის დამატებით გამოწვევებს, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სწრაფი განვითარების პრიორიტეტები, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს კიდეც გარემოსდაცვით მიზნებს.

ამ დოკუმენტის მიზანია საქართველოს „მწვანე“ დაფინანსების სექტორის ანალიზი, შესაძლებლობებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება. ძირითად რეკომენდაციებში შედის მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება კომუნიკაციის სპეციალური პლატფორმის შექმნითა და რეგულარული შეხვედრების ორგანიზებით. ეს დაინტერესებული მხარეები ერთად მუშაობას შეძლებენ გამოცდილების გაცვლისა და სექტორის პროგრესის ხელის შემშლელი ხარვეზებისა და დაბრკოლებების გადალახვისთვის.

არსებული გამოწვევების დასაძლევად, მეტი დრო და რესურსები უნდა დაეთმოს კომერციული ბანკების თანამშრომლების ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებას, რათა მათ შეძლონ მდგრადი დაფინანსების პრინციპებისა და კანონმდებლობის ეფექტიანად გამოყენება. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებულ და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ ტრენინგებს შეუძლიათ, მისცენ ბანკის თანამშრომლებს რისკის მართვის, პორტფელის შეფასების, ანგარიშგებისა და მდგრადი ტაქსონომიის რეგულაციების შესაბამისობისთვის საჭირო უნარები.

გარდა ამისა, აუცილებელია მონიტორინგისა და აღსრულების ძლიერი მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში მდგრადი ფინანსური დაფინანსების სანდოობას. სებ-ის მიერ ჩატარებული რეგულარული აუდიტები და ინსპექციები დაადასტურებს ანგარიშგების სიზუსტეს, თავიდან აიცილებს „გრინვოშინგს“ და ხელს შეუწყობს მდგრადი დაფინანსების სექტორის გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებას. არსებული გამოწვევების დაძლევით, ძლიერი მონიტორინგითა და აღსრულების ზომებით საქართველოს შეუძლია, შექმნას ძლიერი საფუძველი მდგრადი ინვესტიციებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

სრული პუბლიკაცია იხილეთ ინგლისურ ენაზე ბმულზე:
https://pmcresearch.org/policypapers_file/40f86699096598f18.pdf

Research